უნეტარესმა მიტროპოლიტმა ონოფრემ ბუკოვინის წმინდა ანნას სახელობის დედათა მონასტერში ლიტურგია აღასრულა

2021 წლის 14 აგვისტოს, უფლის ცხოველმყოფელი ჯვარის პატიოსანთა ძელთა შემოყვანების დღის დღესასწაულზე, მოწამეთა შვიდთა ძმათა მაკაბელთა ხსენების დღეს, კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესმა მიტროპოლიტმა ონოფრემ საღვთო ლიტურგია აღასრულა ქალაქ ვაშკოვცის (ჩერნოვცის ოლქის ვიჟნიცის რაიონი) წმინდა ანნას სახელობის დედათა მონასტერში.

მის უნეტარესობას ლიტურგიაზე თანამსახურებდნენ კამენეც-პოდოლსკისა და გოროდოკის მიტროპოლიტი თეოდორე, ტერნოპოლისა და კრემენეცის მიტროპოლიტი სერგი, ჩერნოვცისა და ბუკოვინის მიტროპოლიტი მელეტი, ნეჟინისა და პრილუკის მიტროპოლიტი კლიმენტი, კონოტოპისა და

გლუხოვოს მთავარეპისკოპოსი რომანი, ხოტინის ეპისკოპოსი ბენიამინი, ბელოგოროდის ეპისკოპოსი სილვესტრი, ირპენის ეპისკოპოსი ლავრი, ბოროდიანის ეპისკოპოსი მარკოზი, გერცის ეპისკოპოსი სილუანე, ჩერნოვცის ეპარქიის სასულიერო პირები და სტუმარი სამღვდელოება.

ღვთისმსახურებაზე მხურვალე ლოცვები იქნა აღვლენილი ეპიდემიის დასრულებისთვის, ექიმებისთვის და სნეულთა გამოჯანმრთელებისთვის.

სახარების წაკითხვის შემდეგ უნეტარესმა მეუფემ სამწყსოს ქადაგებით მიმართა. მწყემსმთავარი მორწმუნეებს ესაუბრა ღმერთის სიყვარულის მნიშვნელობაზე და ასევე იმაზე, თუ როგორ გავიგოთ, გვიყვარს თუ არა ღმერთი.

„იმისთვის რომ საკუთარი თავისთვის გავარკვიო, მიყვარს თუ არა ღმერთი, მე უნდა შევხედო, ვასრულებ თუ არა საღვთო მცნებებს, – ბრძანა წინამძღვარმა. – თუკი ვასრულებ, ვცდილობ შევასრულო ეს მცნებები, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მე მიყვარს ღმერთი, ვცდილობ მიყვარდეს ღმერთი. თუკი არ ვასრულებ, მე ვატყუებ ვატყუებ თავს და ყველა ჩემ ირგვლივ მყოფს“.

მიტროპოლიტ ონოფრეს სიტყვებით, ღვთის მცნებების შესრულება მოითხოვს დიდ ბრძოლას განსაცდელებთან, ეშმაკთან და საკუთარ თავთან. ამ ბრძოლაში ქრისტიანს მარხვა და ლოცვა ეხმარება.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ თაფლისა და ბალახის კურთხევა აღესრულა. შემდეგ უნეტარესმა მეუფემ ნაკურთხი წყალი ასხურა და მრევლი დალოცა.

უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილება/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87883/